პროექტი „მმართველობის რეფორმის ფონდი“ (GRF)
„ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში საქართველოს მთავრობის მხარდაჭერა მმართველობისა და პოლიტიკის გასაძლიერებლად“

# გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის (ESG) მოთხოვნები
# ნაწილი II

## ESG შესაბამისობა, კომპლექსური ESG შეფასება, ESG ანგარიშგების სტანდარტები

დოქტორი დარიუშ პრასეკი
საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი“

2024 წ., 12 მარტი

# სემინარის ძირითადი ამოცანები

- ESG ანგარიშგებისა და კომპლექსური ESG შეფასების მიმოხილვა
- კორპორაციული მდგრადობის თაობაზე ანგარიშგების დირექტივა (CSRD) და მდგრადობის საკითხებზე ანგარიშგების ევროპული სტანდარტები (ESRS) - მიმოხილვა
  - CSRD-ს საფუძვლები
  - დარგთაშორისი ESRS-ი (ESRS 1 და ESRS 2, ორმაგმნიშვნელოვნება)
  - ESRS E1 – კლიმატის ცვლილება
  - ESRS E2 – დაბინძურება
  - ESRS E4 – ბიომრავალფეროვნება და ეკოსისტემები
  - ESRS S2 – ღირებულებათა ჯაჭვის მუშახელი
  - ESRS S3 – ზემოქმედებული მოსახლეობა
  - ESRS E3 – წყალი და ზღვის რესურსები
  - ESRS E5 – ცირკულარული ეკონომიკა
  - ESRS S1 – საკუთარი სამუშაო ძალა
  - ESRS S4 – მომხმარებლები და საბოლოო მომხმარებლები
  - ESRS G1 – საქმიანი ქცევა
- ESRS და ანგარიშგების სხვა სტანდარტები



# ESG მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანგარიშგება

- როგორც „ESG შესაბამისობისა და ანგარიშგების კონცეფცია“, ასევე „კომპლექსური ESG შეფასების კონცეფცია“ უფრო ვრცელ ჩარჩოს, ESG ასპექტებს ეყრდნობა. თუმცა, ეს განსხვავებული მიდგომებია, რომელთაც განსხვავებული მიზნები და შედეგები გააჩნია.

- ESG შესაბამისობისა და ანგარიშგების კონცეფცია ძირითადად ESG საკითხებთან დაკავშირებული საკანონმდებლო მოთხოვნებისა და დარგობრივი სტანდარტების შესრულებას ეხება. მისი მიზანია, უზრუნველყოს კომპანიების შესაბამისობა დადგენილ სახელმძღვანელო მითითებებთან და ანგარიშგება მათი საქმიანობის გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი მაჩვენებლების შესახებ.




- იგი ორიენტირებულია მოკლევადიან პერსპექტივაზე: შესაბამისობისა და ანგარიშგების კონცეფცია ხშირად ხაზს უსვამს მოკლევადიან მიზნებს და პირდაპირი ვალდებულებების შესრულებას. კომპანიებს შეუძლიათ ჩაერთონ ESG საქმიანობაში, რათა სამართლებრივი შედეგები აიცილონ ან საზოგადოებაში დადებითი რეპუტაცია შეინარჩუნონ გრძელვადიან სტრატეგიულ შედეგებში ჩაუღრმავებლად.

# კომპლექსური ESG შეფასების კონცეფცია - რას წარმოადგენს?

- აღნიშნულისგან განსხვავებით, კომპლექსური შეფასების კონცეფცია შესაბამისობისა და ანგარიშგების საკითხს სცდება. იგი მოიცავს კომპანიის საქმიანობის, მიწოდების ჯაჭვის და საერთო ბიზნესმოდელის კომპლექსურ შესწავლას პოტენციური ESG რისკებისა და შესაძლებლობების გამოვლენის მიზნით.
- იგი ორიენტირებულია გრძელვადიან პერსპექტივაზე: ESG კონტექსტში კომპლექსური შეფასება უფრო შორსმჭვრეტელური და სტრატეგიული ხასიათისაა. მისი მიზანია გრძელვადიანი მდგრადობის საკითხების გააზრება და გადაჭრა, რომელთაც დროთა განმავლობაში კომპანიის ეფექტიანობაზე და რეპუტაციაზე ზემოქმედება შეუძლია.
- რომ შევაჯამოთ, თუმცა ESG შესაბამისობა და ანგარიშგება არსებული სტანდარტების შესასრულებლად აუცილებელია, კომპლექსური ESG შეფასების კონცეფციის დანერგვა სტრატეგიული ნაბიჯია, რომელსაც ბიზნესისათვის გრძელვადიანი წარმატება მოაქვს. ამ კონტექსტში ინვესტიციის უკუგება (ROI) ბიზნესმოდელის პერსპექტიულობაში აისახება, რაც გრძელვადიან მედეგობას, კონკურენტუნარიანობას და ღირებულების მდგრადად შექმნას უზრუნველყოფს.



# კომპლექსური ESG შეფასების კონცეფციის ძირითადი სარგებელი

**1. რისკის შერბილება:** კომპლექსური ESG შეფასება ბიზნესს გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით ფაქტორებთან დაკავშირებული რისკების გამოვლენისა და აღმოფხვრის საშუალებას აძლევს. ამ რისკების წინსწრებით მართვით კომპანიებს შეუძლიათ გრძელვადიან პერსპექტივაში თავიდან აიცილონ შესაძლო ფინანსური ზარალი, სამართლებრივი პრობლემები და რეპუტაციული ზიანი.

**2. მედეგობის განმტკიცება:** კომპლექსური ESG შეფასება ბიზნესს გარე დარტყმების, კანონმდებლობის ცვლილების და ცვლადი ბაზრის მიმართ მედეგობის გაზრდაში ეხმარება. იგი კომპანიას ცვალებად ლანდშაფტსა და საზოგადოებრივ მოთხოვნებზე მორგების საშუალებას აძლევს, რაც მის გრძელვადიან მდგრადობას უწყობს ხელს.

**3. კონკურენტუნარიანობა ბაზარზე:** რამდენადაც ინვესტორები გადაწყვეტილების მიღების დროს ESG ფაქტორებს და მომხმარებელთა სურვილებს სულ უფრო მეტად ითვალისწინებენ, ინვესტორებისათვის და კლიენტურისათვის უფრო მიმზიდველი იქნება კომპანიები, რომლებსაც თავიანთ ბიზნესსტრატეგიაში კომპლექსური ESG შეფასება აქვთ შეტანილი. მომავალში ამის შედეგი შეიძლება კონკურენტული უპირატესობა და ბაზრის წილის ზრდა იყოს.

**4. ხარჯების დაზოგვა:** ESG საკითხების ადრეულად გამოვლენითა და მოგვარებით კომპანიებს შეეძლებათ არაეფექტიანობით, რესურსების უყაირათო მოხმარებითა და მოთხოვნებთან შეუსაბამობით გამოწვეული საოპერაციო ხარჯები შეამცირონ. ეფექტიანობის ამგვარი ზრდა შეიძლება გრძელვადიან პერსპექტივაში მოგებაზე დადებითად აისახოს.

# ევროკავშირის მარეგულირებელი ჩარჩო

## ევროკავშირის მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს მიმოხილვა:

- ევროკავშირის რეგულაცია მდგრადი ინვესტიციების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროების წესების თაობაზე.
- ევროკავშირის ტაქსონომია.
- ევროკავშირის „მწვანე ობლიგაციების სტანდარტები“.
- ევროკავშირის სამიზნე ორიენტირები კლიმატის სფეროში.
- კლიმატთან დაკავშირებული ანგარიშგება.



# კორპორაციული მდგრადობის თაობაზე ანგარიშგების დირექტივა (CSRD)



# მდგრადობის საკითხებზე ინფორმაციის გასაჯაროება

## მდგრადობის საკითხებზე ინფორმაციის გასაჯაროებისა და საბუღალტრო აღრიცხვის წესების შემუშავების პროცესის გაძლიერება

- კორპორაციული ანგარიშგება მდგრადობის შესახებ, რათა ინვესტორებს საკმარისი ინფორმაცია მიეწოდოთ ორიენტაციისათვის.
- ევროკომისიის სახელმძღვანელო მითითებები კლიმატის საკითხებზე ანგარიშგების თაობაზე (2019წ, ივნისი) არაფინანსური ანგარიშგების დირექტივის ფარგლებში.
- 2021 წლის 21 აპრილს ევროკავშირმა გამოაქვეყნა ღონისძიებების ახალი პაკეტი, რომელიც მოიცავს **მდგრადობის საკითხებზე კორპორაციული ანგარიშგების დირექტივის (CSRD) პროექტს - იგი 2022 წლიდან არაფინანსური ანგარიშგების დირექტივას (NFRD) ჩაანაცვლებს.**
- 2022 წლის ნოემბერში ფინანსური ანგარიშგების მრჩეველთა ევროპულმა ჯგუფმა (EFRAG) გამოაქვეყნა მდგრადობის საკითხებზე ანგარიშგების ევროპული სტანდარტები (ESRS), რომელიც 2023 წლის შუა რიცხვებისთვის უნდა დამტკიცდეს.

### კორპორაციული ინფორმაციის გასაჯაროება



# კორპორაციული მდგრადობის თაობაზე ანგარიშგების დირექტივა (CSRD)

ცვლილებები შეაქვს „არაფინანსური ანგარიშგების დირექტივით“ (NFRD) განსაზღვრულ, არაფინანსური ანგარიშგების არსებულ წესებში

- **მიზანი:**
  - უზრუნველყოს, რომ მას დაქვემდებარებულმა ევროკავშირისა და არაევროკავშირის კომპანიებმა (მათ შორის ფინანსურმა ინსტიტუტებმა) სათანადოდ გაასაჯაროონ ინფორმაცია იმ რისკების შესახებ, რომელთა წინაშეც მათ მდგრადობის პრობლემები აყენებს, ასევე მოსახლეობასა და გარემოზე ამ კომპანიების ზემოქმედების შესახებ (როგორიცაა, მაგ., კლიმატის ცვლილების ზემოქმედება ან ადამიანის უფლებების საკითხები) (ცნობილია როგორც „ორმაგმნიშვნელოვანი მიდგომა“)
  - კომპანიების ანგარიშვალდებულების გაზრდა მათ საქმიანობასთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების, მოსახლეობასა და გარემოზე ზემოქმედების საკითხებზე.
  - ინვესტორებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის მდგრადობის საკითხებზე ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღების საშუალების მიცემა.
  - კომპანიების მიმზიდველობის გაზრდა ინვესტორებისთვის, რომელთაც თავიანთი საინვესტიციო გადაწყვეტილებების ზემოქმედების შესახებ ინფორმაციის ქონა და ანგარიშგება ასევე დასჭირდებათ.



# CSRD: ძირითადი ელემენტები

- ESG საკითხების გასაჯაროებას ფინანსურ ანგარიშგებასთან აკავშირებს: „მდგრადობის ანგარიში“ მენეჯმენტის ანგარიშში უნდა შევიდეს.
  - სულ მცირე, გაშუქებული უნდა იყოს, მდგრადობის ფაქტორები რა ზემოქმედებას ახდენს: i) ბიზნესმოდელზე, ii) პოლიტიკის მიმართულებებზე, მათ შორის კომპლექსური შეფასების პროცესებზე, iii) პოლიტიკის შედეგზე; iv) რისკებსა და რისკების მართვაზე; v) ეფექტიანობის საკვანძო ინდიკატორებზე, რომლებიც კონკრეტულ ბიზნესს ეხება.
- ანგარიშგება მოხდება ESRS-ის მიხედვით, მდგრადობის საკითხებზე ანგარიშგების ახალი სტანდარტებით, რაც ანგარიშით მოსარგებლეებს მათი ზემოქმედებისა და ESG მაჩვენებლების თაობაზე ერთიან სურათს შეუქმნის.
- იყენებს ორმაგმნიშვნელოვან მიდგომას - ანუ სუბიექტებმა ანგარიშში არა მხოლოდ ის უნდა ასახონ, მდგრადობის პრობლემები (მაგ., მდგრადობის რისკები, როგორიცაა კლიმატური რისკები) მათ ბიზნესმოდელზე რა გავლენას ახდენს („ფინანსური მნიშვნელოვნება“), არამედ ისიც, მათი ბიზნესსაქმიანობა ადამიანსა და გარემოზე როგორ ზემოქმედებს („ზემოქმედების მნიშვნელოვნება“).
- მოითხოვს გარდამავალი პერიოდის გეგმას იმის უზრუნველსაყოფად, რომ მისი ბიზნესმოდელი და სტრატეგია თავსებადია მდგრად ეკონომიკაზე გადასვლასთან.
- მოითხოვს ინფორმაციის გასაჯაროებას კომპლექსური შემოწმების შედეგების/ ღირებულებათა ჯაჭვში არსებული მდგრადობის რისკების შესახებ, ანუ საწარმოს ღირებულებათა ჯაჭვის როგორც ზედა რგოლებთან (ანუ მომწოდებლებთან), ასევე ქვედა რგოლებთან (ანუ მომხმარებლებთან) დაკავშირებული მდგრადობის რისკების შესახებ.
- მდგრადობის საკითხებზე ანგარიშგებასთან დაკავშირებით აუდიტის მოთხოვნას აწესებს
  - „შეზღუდული გარანტია“: მეორე მხარე ადასტურებს, რომ მისი ყურადღება არ მიუპყრია რაიმეს, რაც მიანიშნებდა, რომ წარმოდგენილი ინფორმაცია არსებითად არასწორია.
  - მოსალოდნელია, რომ 2028 წლისათვის ევროკომისია მოითხოვს „გონივრული გარანტიას“, ანუ ძირითად მოთხოვნებთან შესაბამისობის გადამოწმებას.
- ხელს უწყობს დიგიტალიზაციას - ითხოვს, რომ ფინანსური ანგარიშები და მენეჯმენტის ანგარიში იყოს ერთ, XHTML ფორმატში, ციფრული ტაქსონომიის შესაბამისად მონიშნული, რათა ინფორმაცია იყოს მარტივი და ხელმისაწვდომი.

# CSRD: ვის ეხება?

| | |
|---|---|
| ევროკავშირის საწარმოები | • მსხვილი საწარმოები ბუღალტრული აღრიცხვის დირექტივის განსაზღვრების შესაბამისად:<br>    • შემდეგი სამი კრიტერიუმიდან მინიმუმ ორს აჭარბებს: (i) ჯამური ბალანსი შეადგენს 20 მლნ. ევროს; (ii) სუფთა ბრუნვა შეადგენს 40 მლნ.ევროს; და (iii) ფინანსური წლის განმავლობაში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 250-ს უტოლდება.<br><br>• მცირე და საშუალო ზომის საწარმოები, რომელთა ფასიანი ქაღალდებიც ევროკავშირის ბაზრებზეა რეგისტრირებული, გასაჯაროების გამარტივებულ მოთხოვნებს ექვემდებარება.<br><br>• „მსხვილი“ ჯგუფების* შემთხვევაში, ევროკავშირში ბაზირებული მშობელი კომპანია მოამზადებს მდგრადობის ერთიან ანგარიშს. |
| არაევროკავშირის საწარმოები | • არაევროკავშირის ჯგუფების (ანუ ჯგუფების, რომელთა მშობელი კომპანია ევროკავშირის კანონმდებლობას არ ექვემდებარება) მშობელი კომპანიები, ან შვილობილი კომპანიები, რომლებიც ევროკავშირში არსებითად არის წარმოდგენილი, კერძოდ:<br><br>i) მნიშვნელოვანი ოპერაციები: ბოლო ორი ფინანსური წლის განმავლობაში ევროკავშირის ტერიტორიაზე წმინდა ბრუნვა 150 მლნ. ევროს აღემატებოდა.<br>ii) ევროკავშირში წარმოდგენილმა ფილიალმა წინა ფინანსურ წელში 40 მილიონ ევროზე მეტი გამოიმუშავა. |

დირექტივა არ შეეხება მიკრობიზნესებს, რომლებიც ქვემოთ მოცემული კრიტერიუმებიდან ორს მაინც არ აკმაყოფილებს: ჯამური ბალანსი შეადგენს 350 000€-ს, სუფთა ბრუნვა შეადგენს 700 000 €-ს; დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა შეადგენს 10-ს.****


ESRS

# მდგრადობის საკითხებზე ანგარიშგების ევროპული სტანდარტები (ESRS)

- მდგრადობის საკითხებზე ანგარიშგების ევროპული სტანდარტები (ESRS) CSRD-ის ფარგლებში ინფორმაციის გასაჯაროების დეტალურ მოთხოვნებს ადგენს.

- შემუშავებულია ფინანსური ანგარიშგების მრჩეველთა ევროპული ჯგუფის (EFRAG) მიერ. სტანდარტები მორგებულია ევროკავშირის პოლიტიკას, საერთაშორისო სტანდარტიზაციის ინიციატივებს ეფუძნება და წვლილი შეაქვს მათში.

  - **მიზანი:** საერთო, თანმიმდევრული სტანდარტების უზრუნველყოფა, რათა ევროკავშირის ტერიტორიაზე ESG ანგარიშგება უფრო ზუსტი, თანმიმდევრული, თანაზომადი და სტანდარტიზებული გახდეს, ფინანსური აღრიცხვიანობისა და ანგარიშგების მსგავსად.

  - **მოქმედების სფერო:** ESRS შეეხება CSRD-ს დაქვემდებარებულ სუბიექტებს.



# CSRD-ი და ESRS-ი

- CSRD-ი და ESRS-ი ურთიერთდაკავშირებულია, თუმცა მათ განსხვავებული ფუნქცია გააჩნია.
  - **CSRD-ი ადგენს სამართლებრივ ჩარჩოს და ანგარიშგების ვალდებულებას, ხოლო ESRS-ი შესაბამისობის ღონისძიებათა სქემას იძლევა.**
- CSRD-ს დაქვემდებარებული კომპანიები ამ განსხვავებას სტრატეგიულად უნდა მიუდგენენ, რათა ანგარიშგება შეუცდომლად და დროულად განახორციელონ.
- ყველა კომპანია, რომელსაც ევროკავშირის „კორპორაციული მდგრადობის თაობაზე ანგარიშგების დირექტივა" (CSRD) ეხება, ვალდებულია კორპორაციული მდგრადობისა და ESG ანგარიში შესაბამისობაში მოიყვანოს ESRS-სთან.

# ESRS: ძირითადი ელემენტები და მოთხოვნები

- ESRS ინფორმაციის გასაჯაროების სამ შრეს უნდა შეიცავდეს:
  - i) ყველა დარგზე მორგებულს
  - ii) დარგობრივს
  - iii) ორგანიზაციულს
- ESRS-ის უახლესი ვერსია 12 არადარგობრივ სტანდარტს შეიცავს.
- ESRS-ის პირველი არადარგობრივი პაკეტი სავალდებულო 2024 წლიდან, CSRD-სთან ერთად გახდება.
- 41 შერჩეული დარგის დარგობრივი სტანდარტების შემოღება 2024, 2025 და 2026 წლებშია მოსალოდნელი.

**სტანდარტების არსებული პროექტი**

| | |
|---|---|
| მრავალმხრივი სტანდარტები (სავალდებულო, ფარავს მდგრადობის ყველა საკითხს) | ESRS 1: ზოგადი პრინციპები<br>ESRS 2: ზოგადი, სტრატეგია, მმართველობა და მნიშვნელოვნების შეფასება |
| თემატური სტანდარტები (როცა მნიშვნელოვანია) | გარემოს დაცვა:<br>ESRS E1: კლიმატის ცვლილება<br>ESRS E2: დაბინძურება<br>ESRS E3: წყლისა და ზღვის რესურსები<br>ESRS E4: ბიომრავალფეროვნება და ეკოსისტემები<br>ESRS E5: რესურსების მოხმარება და ცირკულარული ეკონომიკა<br>სოციალური:<br>ESRS S1: საკუთარი მუშახელი<br>ESRS S2: ღირებულებათა ჯაჭვის მუშახელი<br>ESRS S3: ზემოქმედებული მოსახლეობა<br>ESRS S4: მომხმარებლები და საბოლოო მომხმარებლები<br>მმართველობა<br>ESRS G1: ბიზნესის წარმოება |

# ESRS-ის მოქმედების სფერო

- **EFRAG-ის მდგრადობის თაობაზე ანგარიშგების ტექნიკურ ექსპერტთა ჯგუფის (EFRAG SR TEG) რეკომენდაციით, EFRAG-ის მდგრადობის თაობაზე ანგარიშგების საბჭომ (EFRAG SRB)**კონსულტაციების დროს მიღებული შენიშვნები გაითვალისწინა და ევროკომისიის მიერ გამოქვეყნებული თორმეტი ESRS-ის პროექტი შესაბამისად შეასწორა.

  - **2024 ფისკალური წლიდან, 2025 წლის წლიურ ანგარიშში:** კომპანიები, რომლებსაც, NFRD-ის მიხედვით, ანგარიშგების ვალდებულებას უკვე აკისრიათ.

  - **2025 ფისკალური წლიდან, 2026 წლის წლიურ ანგარიშში:** ყველა სხვა მსხვილი კორპორაცია, რომლის თანამშრომელთა საშუალო წლიური რაოდენობა 250 ან მეტია, ჯამური აქტივები 25 მილიონ ევროს ან გაყიდვები 50 მილიონ ევროს შეადგენს.  კომპანია CSRD-ს რომ დაექვემდებაროს, ამ სამი კრიტერიუმიდან ორს უნდა აკმაყოფილებდეს.

  - **2026 ფისკალური წლიდან, 2027 წლის წლიურ ანგარიშში:** ჩამოთვლილი მცირე და საშუალო ბიზნესები, მცირე და არაკომპლექსური საკრედიტო დაწესებულებები, თვითდაზღვევის სადაზღვევო კომპანიები.

  - **2028 ფისკალური წლიდან, 2029 წლის წლიურ ანგარიშში:** მესამე ქვეყნების კომპანიები, რომელთაც ევროკავშირში შვილობილი ან ფილიალი გააჩნიათ. ეს ეხება მხოლოდ იმ შემთხვევებს, როდესაც ევროკავშირის ტერიტორიაზე წმინდა გაყიდვები ორი წლის განმავლობაში 150 მილიონ ევროს აჭარბებს.

## აქტუალური სტანდარტები

| გარემოსდაცვითი: ESRS E | სოციალური: ESRS S | მმართველობის: ESRS G |
|---|---|---|
| E1 კლიმატის ცვლილება | S1 საკუთარი სამუშაო ძალა | G1 საქმიანი ქცევა |
| E2 დაბინძურება | S2 ღირებულებათა ჯაჭვის მუშახელი | |
| E3 წყლისა და ზღვის რესურსები | S3 ზემოქმედებული მოსახლეობა | |
| E4 ბიომრავალფეროვნება და ეკოსისტემები | S4 მომხმარებლები და საბოლოო მომხმარებლები | |
| E5 რესურსების მოხმარება და ცირკულარული ეკონომიკა | | |

## მრავალდარგობრივი სტანდარტები

ზოგადი მოთხოვნები: **ESRS 1**

გასაჯაროების ზოგადი მოთხოვნები: **ESRS 2**

მომავალი:

- დარგობრივი სტანდარტები
- SME-ს თანაფარდი სტანდარტები

# ESRS-ის დარგობრივი სტანდარტები
## შერჩეული 41 დარგისათვის

სტანდარტები, რომლებზეც ამჟამად EFRAG-ი მუშაობს

### დარგობრივი ESRS-ი

**სოფლის მეურნეობის დარგების ჯგუფი**
- სოფლის მეურნეობა & ფერმერობა
- მეტყევეობა

**სამთომოპოვებითი დარგების ჯგუფი**
- ქვანახშირის მოპოვება
- წიაღისეულის მოპოვება
- ნავთობი & გაზი - გადამუშავება, შენახვა, ტრანსპორტირება
- ნავთობი & გაზი - დაზვერვა, მოპოვება

**დამამუშავებელი დარგების ჯგუფი**
- ქიმიური მრეწველობა
- საკვები & სასმელები
- ტექსტილი, აქსესუარები, ფეხსაცმელი და საიუველირო ნაკეთობები

**ტრანსპორტირების დარგების ჯგუფი**
- საგზაო ტრანსპორტი

**ენერგეტიკისა & კომუნალური დარგების ჯგუფი**
- ენერგიის წარმოება & კომუნალური მომსახურება
- წყლისა & ნარჩენების მართვის სამსახურები

**ტექნოლოგიური დარგების ჯგუფი**
- საინფორმაციო ტექნოლოგია

**ტრანსპორტირების დარგების ჯგუფი**
- ტრანსპორტირება

**უძრავი ქონების დარგების ჯგუფი**
- უძრავი ქონება

**მშენებლობის დარგების ჯგუფი**
- მშენებლობა & საინჟინრო
- მშენებლობა & ავეჯით გაწყობა

**საბითუმო & საცალო ვაჭრობის დარგების ჯგუფი**
- გაყიდვები & ვაჭრობა

**დამამუშავებელი დარგების ჯგუფი**
- სამშენებლო მასალები
- თავდაცვა
- ელექტრონიკა
- მანქანები & მოწყობილობები
- სამედიცინო აღჭურვილობა
- ლითონის დამუშავება
- ავტომანქანები
- ქაღალდი & ხის ნაწარმი
- ფარმაცევტიკა & ბიოტექნოლოგია
- სპორტული აღჭურვილობა & სათამაშოები
- თამბაქო

**მომსახურების დარგების ჯგუფი**
- განათლება
- მარკეტინგი
- პროფესიული მომსახურება

**ტექნოლოგიური დარგების ჯგუფი**
- მასმედია & კავშირგაბმულობა

**სასტუმრო და სარესტორნო დარგების ჯგუფი**
- საკვებითა & სასმელით მომსახურება
- განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა

**გართობის დარგების ჯგუფი**
- თამაშები
- დასვენება და გართობა

**ფინანსური ინსტიტუტების დარგების ჯგუფი**
- კაპიტალის ბაზრები
- საკრედიტო ორგანიზაციები
- დაზღვევა

**ჯანდაცვის დარგების ჯგუფი**
- ჯანდაცვა & მომსახურება

- ✓ დარგობრივი სტანდარტები ეყრდნობა SASB და GRI სტანდარტებს, რომლებისთვისაც ასეთი არსებობს.
- ✓ ჯერ კიდევ უცნობია, დარგობრივი სტანდარტების გასაჯაროების წესები (DRs) რამდენად სავალდებულო ხასიათისაა.
- ✓ განსაზღვრეთ ყველა დარგი, რომელშიც საქმიანობთ. დაადგინეთ, რომელი დარგებია არსებითი.

# ორმაგმნიშვნელოვნება

## ორი რაკურსი

ორმაგმნიშვნელოვნების რაკურსში მდგრადობა მნიშვნელოვანია

GRI

### ზემოქმედების მნიშვნელოვნება

მდგრადობის საკითხი ან ასეთი ინფორმაცია არსებითია ზემოქმედების თვალსაზრისით, თუ პროექტის ფაქტიური ან პოტენციური ზემოქმედება მოსახლეობაზე ან გარემოზე მნიშვნელოვანია და მოკლე, საშუალო ან გრძელვადიან პერსპექტივაში მდგრადობის საკითხებთან არის კავშირში.

**„შიგნიდან გარეთ“ რაკურსი**

მდგრადობა მნიშვნელოვანია ზემოქმედების მნიშვნელოვნების რაკურსში

**„გარედან შიგნით“ რაკურსი**

მდგრადობა მნიშვნელოვანია ფინანსური მნიშვნელოვნების რაკურსში

IFRS

### ფინანსური მნიშვნელოვნება

არსებითია, თუ მას ბიზნესისათვის ფინანსური შედეგები გააჩნია, ე.ი. წარმოქმნის რისკებს ან შესაძლებლობებს, რომლებიც ზემოქმედებს ან შესაძლოა ზემოქმედებდეს სამომავლო ფულად ნაკადებზე და, ამგვარად, კომპანიის ღირებულებაზე მოკლე, საშუალო ან გრძელვადიან პერსპექტივაში, თუმცა ანგარიშგების თარიღისათვის ფინანსურ ანგარიშში ასახული არაა.

# ორმაგმნიშვნელოვნების შეფასება

*კომპანიის ზემოქმედება მოსახლეობაზე და გარემოზე* — **ორმაგმნიშვნელოვნება** — *მოსახლეობისა და გარემოს ზემოქმედება კომპანიაზე*

## ზემოქმედების მნიშვნელოვნება

- მდგრადობის საკითხი მნიშვნელოვანია <u>მოკლე, საშუალო ან გრძელვადიან პერსპექტივაში</u> ზემოქმედების თვალსაზრისით:

**ზემოქმედების მნიშვნელოვნება = სიმწვავე + ალბათობა**

**სიმწვავე** დამოკიდებულია:
- ზემოქმედების **მასშტაბზე**
- ზემოქმედების **სფეროზე**
- ზემოქმედების **აღმოუფხვრად ხასიათზე**

შესაძლო უარყოფითი ზემოქმედება ადამიანის უფლებებზე: სიმწვავე ალბათობაზე მნიშვნელოვანია.

- აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვანი ზემოქმედების ზოგიერთი ასპექტი შესაძლოა ფინანსურადაც მნიშვნელოვანი იყოს
- <u>მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან დაკავშირებული მდგრადობის საკითხები:</u>
  - ზემოქმედება, რომელიც **გამოიწვია ან** რომელშიც **წვლილი შეიტანა** საწარმომ
  - ზემოქმედება, რომელიც საწარმოს **საქმიანობას**, მის **ნაწარმს** და **მომსახურებას** პირდაპირ უკავშირდება მისი საქმიანი ურთიერთობების მეშვეობით (მათ შორის ღირებულებათა ჯაჭვის ზედა/ ქვედა რგოლების მეშვეობით)

## ფინანსური მნიშვნელოვნება

- განსაზღვრავს ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშებში შესატან ინფორმაციას
- მდგრადობის საკითხი მნიშვნელოვანია <u>მოკლე, საშუალო ან გრძელვადიან პერსპექტივაში</u> ფინანსური თვალსაზრისით:

**აქვს ან შეიძლება ჰქონდეს** მნიშვნელოვანი *ფინანსური* შედეგები → საწარმოს განვითარებაზე, მათ შორის **ფულად ნაკადებზე, ფინანსურ მდგომარეობაზე** და **ფინანსურ მაჩვენებლებზე**

*განსაკუთრებით, როდესაც მდგრადობის საკითხების გამო <u>წარმოშობა</u> ან <u>შეიძლება წარმოშვას</u> რისკები ან შესაძლებლობები, რომლებიც მის მომავალ ფულად ნაკადებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ან სავარაუდოდ მოახდენს.*

- ფინანსური მნიშვნელოვნება **არ** შემოიფარგლება საწარმოს კონტროლს დაქვემდებარებული საკითხებით, არამედ ასევე მოიცავს სხვა საწარმოებთან/დაინტერესებულ მხარეებთან საქმიანი ურთიერთობების თანმხლებ არსებით რისკებსა და შესაძლებლობებს, რომლებიც ჩვეულებრივი ფინანსური ანგარიშგების ჩარჩოს სცდება.
- რისკებისა და შესაძლებლობების მნიშვნელოვნება ფასდება **რეალიზების ალბათობისა** და **ფინანსური შედეგების შესაძლო ზომის** ერთობლიობით.

# შესაბამისი სტანდარტების მიმოხილვა

## ძირითადი სტანდარტების/ მითითებების ჩამონათვალი

| # | ორგანიზაცია | ინიციატივა / დოკუმენტი |
|---|---|---|
| 1 | ფინანსური ანგარიშგების მრჩეველთა ევროპული ჯგუფი | მდგრადობის საკითხებზე ანგარიშგების ევროპული სტანდარტების პროექტი |
| 2 | მდგრადობის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო (ISSB) | კლიმატთან დაკავშირებული ინფორმაციის გასაჯაროებისა და ინფორმაციის გასაჯაროების ზოგადი მოთხოვნების პროტოტიპი |
| 3 | კლიმატთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციის მაუწყებელი ანალიტიკური ჯგუფი (TCFD) | TCFD რეკომენდაციები |
| 4 | ანგარიშგების გლობალური ინიციატივა (GRI) | GRI სტანდარტები |
| 5 | ღირებულებაზე ანგარიშგების ფონდი | სათანადო დარგობრივი SASB სტანდარტები |
| 6 | კლიმატური ინფორმაციის გასაჯაროების სტანდარტების საბჭო (CDSB) | CDSB ჩარჩო |
| 7 | CDP | CDP მონაცემები |
| 8 | ზღურბლური მაჩვენებლების დადგენის მსოფლიო ალიანსი (WBA) | WBA ზღურბლური მაჩვენებლები |
| 9 | სათბურის აირების პროტოკოლი | სათბურის აირების პროტოკოლი |

| # | ორგანიზაცია | დოკუმენტი |
|---|---|---|
| 10 | ევროკავშირი | ანგარიშგების დირექტივა/ კორპორაციული მდგრადობის თაობაზე ანგარიშგების დირექტივა |
| 11 | ევროკავშირი | **მდგრადი დაფინანსების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროების** რეგულაცია (დელეგირებული აქტების ჩათვლით) |
| 12 | ევროკავშირი | ტაქსონომიის რეგულაცია (მ.შ. დელეგირებული აქტები) |
| 13 | ევროკავშირი | რეგულაცია კონფლიქტური მინერალების შესახებ |
| 14 | Shift და Mazars | გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები ბიზნესისა და ადამიანის უფლებებზე ანგარიშგების თაობაზე და უზრუნველყოფის ჩარჩო |
| 15 | OECD | OECD კომპლექსური შემოწმების სახელმძღვანელო ბიზნესის პასუხისმგებლიანად წარმართვისათვის |
| 16 | მეცნიერებაზე დაფუძნებული სამიზნეების ინიციატივა (SBTi) | SBTi ინსტრუმენტი |
| 17 | პარიზის შეთანხმებასთან კაპიტალის ადაპტაციის შეფასება (PACTA) | PACTA ინსტრუმენტი |

**ევროკავშირის ტაქსონომია, SFDR, CSRD**

European Commission

EU Taxonomy

EU Benchmarks

Sustainable Finance Disclosure Regulation

# ESG ანგარიშგების სახელმძღვანელო - ISSB-ის დაარსება COP 26-ზე



























# ESRS 2 | გასაჯაროების ზოგადი მოთხოვნები

## გასაჯაროების მოთხოვნები

### მომზადების საფუძველი

- BP-1: **მდგრადობის ანგარიშების** მომზადების საერთო საფუძველი
- BP-2: გასაჯაროება განსაკუთრებული გარემოებების გამო

#### მმართველობა

- GOV1: **ადმინისტრაციული, მმართველობისა და ზედამხედველობის ორგანოების** როლი
- GOV2: საწარმოს ადმინისტრაციული, მმართველობისა და ზედამხედველობის ორგანოებისათვის მიწოდებული ინფორმაცია და მათ მიერ მოგვარებული მდგრადობის საკითხები
- GOV3: მდგრადობის მაჩვენებლების ინტეგრირება **წამახალისებელ სქემებში**
- GOV4: **კომპლექსური შეფასების** ანგარიში
- GOV5: **რისკის მართვა და** მდგრადობაზე ანგარიშგების **შიდა კონტროლი**

#### სტრატეგია

- SBM1: **სტრატეგია, ბიზნესმოდელი** და **ღირებულების ჯაჭვი**
- SBM2: **დაინტერესებული მხარეების** ინტერესები და ხედვები
- SBM3: **არსებითი** ზემოქმედება, რისკები და შესაძლებლობები და მათი ურთიერთქმედება **სტრატეგიასა და ბიზნესმოდელთან**

#### ზემოქმედების, რისკისა და შესაძლებლობების (IRO) მართვა

მნიშვნელოვნების შეფასების პროცესის თაობაზე ინფორმაციის გასაჯაროება

- IRO1: არსებითი ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების **გამოვლენისა და შეფასების პროცესების** აღწერა
- IRO2: **გასაჯაროების მოთხოვნები** ESRS-ში, რომლებსაც საწარმოს **მდგრადობის ანგარიში** უნდა პასუხობდეს

პოლიტიკისა და ქმედებების თაობაზე ინფორმაციის გასაჯაროების მინიმალური მოთხოვნები

- MDR-P: მნიშვნელოვანი მდგრადობის საკითხების მართვისათვის მიღებული **პოლიტიკა**
- MDR-A: მნიშვნელოვან მდგრადობის საკითხებთან დაკავშირებული **ქმედებები და რესურსები**

#### საზომები და სამიზნეები

საზომები და სამიზნეების თაობაზე ინფორმაციის გასაჯაროების მინიმალური მოთხოვნები

- MDR-M: მდგრადობის საკითხებთან დაკავშირებული **საზომები**
- MDR-T: **პოლიტიკისა და ქმედებების ეფექტიანობის** მონიტორინგი **სამიზნე მაჩვენებლების მეშვეობით**

*მდგრადობის თითოეული მნიშვნელოვანი საკითხისათვის*

- მოქმედებს გასაჯაროების წესებთან (DR) ერთად, რომლებიც შესაბამის თემატურ ESRS-ში წარმოდგენილ გამოყენების მოთხოვნებსაც მოიცავს

გასაჯაროების სავალდებულო მოთხოვნები

გასაჯაროების მოთხოვნები ან მონაცემები, რომლებიც ეტაპობრივად ინერგება

# პოლიტიკის, ქმედებების, საზომების და სამიზნეების გასაჯაროების მინიმალური მოთხოვნები

## მრავალდარგობრივი გასაჯაროების მოთხოვნები (DR)

- [MDR-P] პოლიტიკა
- [MDR-A] ქმედებები და რესურსები
- [MDR-M] საზომები
- [MDR-T] სამიზნე მაჩვენებლები

მდგრადობის თითოეული მნიშვნელოვანი საკითხისათვის

- გამოიყენება თემატური და დარგობრივი ESRS-ის DR-ებთან ერთად
- ასევე, გამოყენებული უნდა იქნას საწარმოსთვის სპეციფიური გასაჯაროების შემთხვევაში
- როდესაც ერთი პოლიტიკა ან იგივე ქმედება ეხება მდგრადობის რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულ საკითხს, საწარმოს შეუძლია საჭირო ინფორმაცია რომელიმე ერთი თემატური ESRS ანგარიშგების ფარგლებში გამოაქვეყნოს, ხოლო სხვა თემატური ESRS ანგარიშგების ფარგლებში შესაბამისი მითითება წარმოადგინოს.
- თუ საწარმოს პოლიტიკა, ქმედებები ან სამიზნეები არ აქვს განსაზღვრული, მან ეს ფაქტი უნდა გაასაჯაროოს და მიზეზები (+ სურვილისამებრ ვადები) წარმოადგინოს.

# ESRS E1

## კლიმატის ცვლილება

# ESRS E1 | კლიმატის ცვლილება

## ზოგადი კონცეფციები

**კლიმატის სტრატეგია**

**კლიმატის ცვლილების შერბილება**

ეხება **კომპანიის ძალისხმევას** ზოგადი პროცესის მიმართულებით, რომელიც გულისხმობს წინაინდუსტრიულ დონესთან შედარებით **გლობალური საშუალო ტემპერატურის ნაზრდის 2°C-ს ქვემოთ შენარჩუნებას** და მცდელობას, რომ იგი 1,5°C-მდეც კი შემცირდეს, როგორც ეს გათვალისწინებულია პარიზის შეთანხმებაში.

**კლიმატის ცვლილებასთან შეგუება**

ეხება **კლიმატის** რეალურ და მოსალოდნელ **ცვლილებასთან** კომპანიის **ადაპტაციის პროცესს.**

სტანდარტი E1 მოიცავს გასაჯაროების მოთხოვნებს კლიმატური საფრთხეების თაობაზე, რომლებმაც შეიძლება კომპანიას **არსებითი კლიმატური რისკები** შეუქმნას და ადაპტაციის ღონისძიებების თაობაზე, რომლებიც მას ასეთ რისკების შეუმცირებს. იგი ასევე მოიცავს **გარდამავალ რისკებს**, რომლებიც კლიმატურ საფრთხეებთან აუცილებელი ადაპტაციის შედეგად წარმოიშვება.

**ენერგია**

მოიცავს ყველა სახის **ენერგიის წარმოებასა და მოხმარებას.**

# ESRS E1 | კლიმატის ცვლილება

## გასაჯაროების მოთხოვნები

### მმართველობა

გასაჯაროების მოთხოვნები (DR), რომლებიც ეხება **ESRS 2 GOV-3-ს** „მდგრადობის მაჩვენებლების ინტეგრირება წამახალისებელ სქემებში“

### სტრატეგია

DR **E1-1** – გარდამავალი გეგმა კლიმატის ცვლილების შერბილებისათვის

გასაჯაროების მოთხოვნები, რომლებიც ეხება **ESRS 2 SBM-3-ს** „არსებითი ზემოქმედება, რისკები და შესაძლებლობები და მათი ურთიერთქმედება სტრატეგიასა და ბიზნესმოდელთან“

### ზემოქმედების, რისკისა და შესაძლებლობის მართვა

DR-ები, რომლებიც ეხება **ESRS 2 IRO-1-ს** „არსებითი კლიმატური ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების გამოვლენისა და შეფასების პროცესების აღწერა“

DR **E1-2** – კლიმატის ცვლილების შერბილებისა და შედეგებთან შეგუების პოლიტიკა

DR **E1-3** – კლიმატის ცვლილების პოლიტიკასთან დაკავშირებული ქმედებები და რესურსები

### საზომები და სამიზნეები

DR **E1-4** – კლიმატის ცვლილების შერბილებისა და შედეგებთან შეგუების სამიზნეები

DR **E1-5** – ენერგიის მოხმარება და ენერგიის ნარევი

DR **E1-6** – საერთო ამოცანები 1, 2, 3 და სათბურის აირების ჯამური გაფრქვევები

DR **E1-7** – სათბურის აირების აღმოფხვრისა და შემცირების პროექტები, რომლებიც ნახშირბადის კრედიტებით ფინანსდება

DR **E1-8** – ნახშირბადის ფასი შიდა ბაზარზე

DR **E1-9** – მნიშვნელოვანი ფიზიკური და გარდამავალი რისკებისა და პოტენციური კლიმატური შესაძლებლობების მოსალოდნელი ფინანსური შედეგები

# ESRS E1 | კლიმატის ცვლილება

## მონაცემთა ელემენტებზე ანგარიშგების ძირითადი გამოწვევები და სიახლეები

### გასაჯაროების ახალი ვალდებულებები და მონაცემები

- ამოცანა 1,2,3 გაანგარიშების შედეგები
- კლიმატური რისკის მეთოდოლოგია & შედეგები, რისკების მნიშვნელოვნება, რისკების ფინანსური ზემოქმედება (განუყოფელი/ნარჩენი)
- მთელი ღირებულების ჯაჭვის მიდგომა
- დეკარბონიზაციის სტრატეგია - შერბილების გეგმა ადაპტაციის გეგმა / გარდამავალი გეგმა
- სტრატეგიის სიცოცხლისუნარიანობის თაობაზე ინფორმაციის გასაჯაროება
- დეკარბონიზაციის კონკრეტული ინიციატივების ზემოქმედება
- აღმოფხვრა და ნახშირბადის კრედიტები
- ნახშირბადის ფასი შიდა ბაზარზე

### მონაცემთა ხელმისაწვდომობის გამოწვევები და მეთოდოლოგიური მიდგომა

- მეცნიერებაზე დაფუძნებული 1,5 გეგმა
- ამოცანა 3 მონაცემები
- კლიმატური რისკების სცენარები/ დაშვებები
- მონაცემები პირდაპირ ემისიებზე - % ინფორმაციის გაზიარება
- კლიმატური რისკების მიმართ მედეგობა
- მაღალი ხარისხის კომპენსაციები - ნახშირბადის კრედიტები
- ღირებულებათა ჯაჭვზე მიბმული ემისიები
- შიდა ბაზარზე ნახშირბადის ფასის გაანგარიშების მეთოდოლოგიები

# ESRS E1 | კლიმატის ცვლილება

## მონაცემთა ელემენტები – მიმოხილვა**

**221**
მონაცემთა ელემენტების (DP) საერთო რაოდენობა

**154-ს** (70%)
GRI-ზე პირდაპირი მითითება არ გააჩნია

### ანგარიშში შესატანი მონაცემების ტიპები*




** გამარტივებულია უკეთესი თვალსაჩინოებისათვის. „რიცხვითი“ გულისხმობს ნებისმიერ მონაცემს, რომელიც წარმოდგენილი უნდა იყოს რიცხვების სახით, მათ შორის პროცენტულ და მონეტარულ მაჩვენებლებს. „ცხრილი (რიცხვითი)“ აღნიშნავს DP-ებს, რომლებიც სტრუქტურულ ფორმაში რიცხობრივ მონაცემებს ითხოვს (მაგ., საქმიანობის სახეების, საქმიანობის ქვეყნებისა და ა.შ. მიხედვით).*

*** შეფასებულია ESRS-ის განხორციელების შესახებ EFRAG-ის მითითებების საფუძველზე*

# ESRS E2

## დაბინძურება

# ESRS E2 | დაბინძურება

## ზოგადი კონცეფციები

**დაბინძურება**

ქვესაკითხები

- ჰაერის დაბინძურება
- წყლის დაბინძურება
- ნიადაგის დაბინძურება
- ცოცხალი ორგანიზმებისა და საკვები რესურსების დაბინძურება
- საშიში ნივთიერებები
- განსაკუთრებულად საშიში ნივთიერებები

# ESRS E2 | დაბინძურება

გასაჯაროების მოთხოვნები

| მმართველობა | სტრატეგია | ზემოქმედების, რისკისა და შესაძლებლობის მართვა | საზომები და სამიზნეები |
|---|---|---|---|
| | | DR-ები, რომლებიც ეხება **ESRS 2 IRO-1-ს** „დაბინძურებასთან დაკავშირებული არსებითი ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების გამოვლენისა და შეფასების პროცესების აღწერა“<br><br>DR **E2-1** – პოლიტიკა დაბინძურების თაობაზე<br><br>DR **E2 -2** – დაბინძურებასთან დაკავშირებული ქმედებები და რესურსები | DR **E2 -3** – დაბინძურების სამიზნე მაჩვენებლები<br><br>DR **E2-4** – ჰაერის, წყლისა და ნიადაგის დაბინძურება<br><br>DR **E2-5** – საშიში ნივთიერებები და განსაკუთრებულად საშიში ნივთიერებები<br><br>DR **E2-6** – დაბინძურებასთან დაკავშირებული ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების მოსალოდნელი ფინანსური შედეგები |

# ESRS E2 | დაბინძურება

## მონაცემთა ელემენტები – მიმოხილვა**

**68**
მონაცემთა ელემენტების (DP) საერთო რაოდენობა

**54-ს** (79%)
GRI-ზე პირდაპირი მითითება არ გააჩნია

ანგარიშში შესატანი მონაცემების ტიპები*




** გამარტივებულია უკეთესი თვალსაჩინოებისათვის. „რიცხვითი“ გულისხმობს ნებისმიერ მონაცემს, რომელიც წარმოდგენილი უნდა იყოს რიცხვების სახით, მათ შორის პროცენტულ და მონეტარულ მაჩვენებლებს. „ცხრილი (რიცხვითი)“ აღნიშნავს DP-ებს, რომლებიც სტრუქტურულ ფორმაში რიცხობრივ მონაცემებს ითხოვს (მაგ., საქმიანობის სახეების, საქმიანობის ქვეყნებისა და ა.შ. მიხედვით).*

*** შეფასებულია ESRS-ის განხორციელების შესახებ EFRAG-ის მითითებების საფუძველზე*

# ESRS E2 | დაბინძურება

## მონაცემთა ელემენტებზე ანგარიშგების ძირითადი გამოწვევები და სიახლეები

### გასაჯაროების ახალი ვალდებულებები და მონაცემები

- მნიშვნელოვანი ზემოქმედების მართვის პოლიტიკა
- მნიშვნელოვნების შეფასების შედეგები (ორმაგმნიშვნელოვნების პირველადი მონაცემების სიღრმისეული ანალიზი)
- ინფორმაცია საკუთარი საქმიანობისა და ღირებულებათა ჯაჭვისთვის გამოყენებული მეთოდოლოგიების, დაშვებებისა და ინსტრუმენტების შესახებ
- ევროკავშირის რეგულაციებთან პოლიტიკის თანაზომადობის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება
- პოლიტიკის ეფექტიანობის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება (სამიზნეები/ ეფექტიანობის საკვანძო ინდიკატორები (KPI) ყოველთვის არ არის განსაზღვრული)
- ინფორმაცია პოლიტიკისა და სამიზნეების ობიექტის დონეზე შესრულების შესახებ

### მონაცემთა ხელმისაწვდომობის გამოწვევები და მეთოდოლოგიური მიდგომა

- მნიშვნელოვანი ზემოქმედების განმარტება (მნიშვნელოვანი ზემოქმედება შეიძლება იყოს ფინანსური და არაფინანსური) – რისკის მრავალკრიტერიული ანალიზი (საწარმოს რისკის მართვის (ERM) კარგად გააზრებული სისტემები)
- ზემოქმედების შეფასების მეთოდოლოგია ღირებულებათა ჯაჭვისათვის
- წარმოქმნილი მიკროპლასტმასი
- წყლის მაღალი რისკისა და წყალზე მაღალი წნეხის ზონების განმარტება
- დაბინძურების გამო ზემოქმედების შედეგად წარმოქმნილი მნიშვნელოვანი რისკებისა და შესაძლებლობების მოსალოდნელი ფინანსური შედეგების შესახებ რაოდენობრივი ინფორმაციის მისაღებად გამოყენებული მეთოდოლოგიისა და დაშვებების გასაჯაროება

# ESRS E4

## ბიომრავალფეროვნება და ეკოსისტემები

# ESRS E4 | ბიომრავალფეროვნება და ეკოსისტემები

## ზოგადი კონცეფციები

**ბიომრავალფეროვნება და ეკოსისტემები**

### ქვესაკითხები

**პირდაპირი ზემოქმედება ბიომრავალფეროვნების კარგვის გამომწვევი ფაქტორები**

ქვეპუნქტები:

- კლიმატის ცვლილება
- მიწათსარგებლობის ცვლილება
- უშუალო გამოყენება
- უცხო ინვაზიური სახეობები
- დაბინძურება
- სხვა დოკუმენტები

**ზემოქმედება სახეობების მდგომარეობაზე**

მაგალითები:

- სახეობების პოპულაციის ზომა
- გლობალურად გადაშენების რისკის წინაშე მყოფი სახეობები

**ზემოქმედება ეკოსისტემების განფენილობაზე და მდგომარეობაზე**

მაგალითები:

- მიწის რესურსის დეგრადაცია
- გაუდაბნოება
- ნიადაგის ჰერმეტიზაცია

**ეკოსისტემურ სერვისებზე ზემოქმედება და დამოკიდებულება**

# ESRS E4 | ბიომრავალფეროვნება და ეკოსისტემები

## გასაჯაროების მოთხოვნები

| მმართველობა | სტრატეგია | ზემოქმედების, რისკისა და შესაძლებლობის მართვა | საზომები და სამიზნეები |
| --- | --- | --- | --- |
| **მმართველობის შესახებ კონკრეტული გასაჯაროების მოთხოვნების (DR) არარსებობა** ESRS E-4-ში | DR **E4-1** – გარდამავალი გეგმა და ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემების გათვალისწინება სტრატეგიასა და ბიზნესმოდელში<br><br>DR-ები, რომლებიც ეხება **ESRS 2 SBM-3-ს** „არსებითი ზემოქმედება, რისკები და შესაძლებლობები და მათი ურთიერთქმედება სტრატეგიასა და ბიზნესმოდელთან“ | DR-ები, რომლებიც ეხება **ESRS 2 IRO-1-ს** „ბიომრავალფეროვნებასა და ეკოსისტემებთან დაკავშირებული არსებითი ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების გამოვლენისა და შეფასების პროცესების აღწერა“<br><br>DR **E4 -2** – ბიომრავალფეროვნებასა და ეკოსისტემებთან დაკავშირებული პოლიტიკა<br><br>DR **E4 -3** – ბიომრავალფეროვნებასა და ეკოსისტემებთან დაკავშირებული ქმედებები და რესურსები | DR **E4 -4** – ბიომრავალფეროვნებასა და ეკოსისტემებთან დაკავშირებული სამიზნეები<br><br>DR **E4 -5** – ბიომრავალფეროვნებასა და ეკოსისტემებთან დაკავშირებული ზემოქმედების საზომები<br><br>DR **E4 -6** – ბიომრავალფეროვნებასა და ეკოსისტემებთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების მოსალოდნელი ფინანსური შედეგები |

# ESRS E4 | ბიომრავალფეროვნება და ეკოსისტემები

## მონაცემთა ელემენტები – მიმოხილვა**

ESRS E4 გარემოსდაცვითი სტანდარტია, რომელიც ფარავს ყველა გარემოსდაცვით საკითხზე გასასაჯაროებელი **აღწერითი და ნაწილობრივ აღწერითი ხასიათის ინფორმაციის უდიდეს წილს.**

**120**
მონაცემთა ელემენტების (DP) საერთო რაოდენობა

**94-ს** (78%)
GRI-ზე პირდაპირი მითითება არ გააჩნია

ანგარიშში შესატანი მონაცემების ტიპები*




** გამარტივებულია უკეთესი თვალსაჩინოებისათვის. „რიცხვითი“ გულისხმობს ნებისმიერ მონაცემს, რომელიც წარმოდგენილი უნდა იყოს რიცხვების სახით, მათ შორის პროცენტულ და მონეტარულ მაჩვენებლებს. „ცხრილი (რიცხვითი)“ აღნიშნავს DP-ებს, რომლებიც სტრუქტურულ ფორმაში რიცხობრივ მონაცემებს ითხოვს (მაგ., საქმიანობის სახეების, საქმიანობის ქვეყნებისა და ა.შ. მიხედვით).*

*** შეფასებულია ESRS-ის განხორციელების შესახებ EFRAG-ის მითითებების საფუძველზე*

# ESRS E4 | ბიომრავალფეროვნება და ეკოსისტემები

## მონაცემთა ელემენტების თაობაზე ანგარიშგების ძირითადი გამოწვევები და სიახლეები

### გასაჯაროების ახალი ვალდებულებები და მონაცემები

**მედეგობის ანალიზი და გადასვლის დაგეგმვა:**

- მედეგობის ანალიზის სტრატეგიული მნიშვნელობა ბიომრავალფეროვნების საიმედო სტრატეგიის შექმნისათვის.

**ზემოქმედების ანალიზი და ურთიერთქმედება TNFD-სა და LEAP-თან მეთოდოლოგიასთან:**

- ზემოქმედების ანალიზის დანერგვა TNFD-სა LEAP მეთოდოლოგიასთან შესაძლო ურთიერთქმედების გამოყენებით.

**პოლიტიკა და პროცედურები:**

- ბუნებასთან დაკავშირებული პოლიტიკისა და პროცედურების გასაჯაროების დეტალური მოთხოვნები. ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული საქმიანობის წარმმართველი საიმედო ჩარჩოს შესახებ ინფორმაციის გავრცელება

**სამიზნე მაჩვენებლების გასაჯაროება:**

- მკაფიო მოლოდინები მდგრადობის მიზნებთან შესაბამისობაში მყოფი კონკრეტული სამიზნეების გასაჯაროების თაობაზე.

**საზომების მრავალფეროვანი დიაპაზონი:**

- საზომების მრავალფეროვანი სპექტრი, მარტივიდან რთულამდე.

**აღწერითი ინდიკატორები:**

- წვლილის შეტანა მდგრადობის ზოგად აღწერაში.
- ყოვლისმომცველი და ერთიანი მიდგომა გარემოსდაცვითი ინფორმაციის გასაჯაროებისადმი.

### მონაცემთა ხელმისაწვდომობის გამოწვევები და მეთოდოლოგიური მიდგომა

- TNFD-თან მკაფიო კორელაციის **არარსებობა**
- **ზემოქმედების ანალიზზე** ფოკუსირება
- ბიზნესსტრატეგია და **გადასვლის დაგეგმვა**
- დაწვრილებითი ანგარიში ბიომრავალფეროვნებაზე, კონკრეტული მოთხოვნებით
- ბიომრავალფეროვნების ანალიზის მხარდამჭერი **ინსტანციების შეზღუდული რაოდენობა,** კონკრეტული მისაღები სცენარების არარსებობა
- ბიომრავალფეროვნებაზე ანგარიშგების **თანაზომადობის არარსებობა**

# ESRS S2

## ღირებულებათა ჯაჭვის მუშახელი

# ESRS S2 | ღირებულებათა ჯაჭვის მუშახელი

## ზოგადი კონცეფციები

**ღირებულებათა ჯაჭვის მუშახელი**

### ქვესაკითხები

#### სამუშაო პირობები

ქვეპუნქტები:

- უსაფრთხო დასაქმება
- სამუშაო დრო
- სათანადო ანაზღაურება
- სოციალური დიალოგი
- გაერთიანების თავისუფლება, მ.შ. მუშახელის საბჭოების არსებობა
- კოლექტიური მოლაპარაკება
- სამუშაოსა და პირადი ცხოვრების ბალანსი
- ჯანმრთელობა და უსაფრთხოება

#### თანასწორი მოპყრობა და შესაძლებლობები ყველასათვის

- გენდერული თანასწორობა და თანაბარი ანაზღაურება
- ტოლფასი შრომისათვის
- სწავლება და კვალიფიკაციის ამაღლება
- უნარშეზღუდული პირების დასაქმება და ჩართულობა
- სამუშაო ადგილზე ძალადობისა და შევიწროვების საწინააღმდეგო ღონისძიებები
- მრავალფეროვნება

#### მუშახელის სხვა უფლებები

- ბავშვთა შრომა
- იძულებითი შრომა
- სათანადო საცხოვრებელი პირობები
- წყალმომარაგება და კანალიზაცია
- პირადი ცხოვრება

**ღირებულებათა ჯაჭვის მუშახელი**

ინდივიდი, რომელიც საწარმოს ღირებულების ჯაჭვში ახორციელებს სამუშაოს, ამ საწარმოსთან რაიმე **სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობის ან ხასიათის მიუხედავად.**

ღირებულებათა ჯაჭვის მუშახელში ESRS-ი მოიაზრებს შემდეგს: **საწარმოს ღირებულებათა ჯაჭვის ზედა და ქვედა რგოლებში დასაქმებული ყველა პირი**, რომელიც საწარმოს **მნიშვნელოვან ზემოქმედებას განიცდის** ან შესაძლოა ასეთი ზემოქმედება განიცადოს. ეს მოიცავს ზემოქმედებას, რომელიც გამოწვეულია საწარმოს მიერ, ან რომელშიც მას წვლილი შეაქვს, ასევე ზემოქმედებას, რომელიც, მისი საქმიანი ურთიერთობების მეშვეობით, უშუალო კავშირშია მის საქმიანობასთან, ნაწარმთან ან მომსახურებასთან.

# ESRS S2 | ღირებულებათა ჯაჭვის მუშახელი

## გასაჯაროების მოთხოვნები

| მმართველობა | სტრატეგია | ზემოქმედების, რისკისა და შესაძლებლობის მართვა | საზომები და სამიზნეები |
|---|---|---|---|
| | DR-ები, რომლებიც ეხება **ESRS 2 SBM-2-ს** „დაინტერესებულ მხარეთა ინტერესები და ხედვები“<br><br>DR-ები, რომლებიც ეხება **ESRS 2 SBM-3-ს** „არსებითი ზემოქმედება, რისკები და შესაძლებლობები და მათი ურთიერთქმედება სტრატეგიასა და ბიზნესმოდელთან“ | DR **S2-1** – ღირებულებათა ჯაჭვის მუშახელის პოლიტიკა<br><br>DR **S2-2** – ზემოქმედების საკითხებზე ღირებულებათა ჯაჭვის მუშახელის ჩართულობის პროცესი<br><br>DR **S2-3** – უარყოფითი ზემოქმედების შედეგების გამოსწორების პროცესები და ღირებულებათა ჯაჭვის მუშახელის მიერ პრობლემების წამოჭრისათვის განკუთვნილი არხები<br><br>DR **S2-4** – ღირებულებათა ჯაჭვის მუშახელზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების აღმომფხვრელი ზომების გატარება, ღირებულებათა ჯაჭვის მუშახელთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკების მართვისა და მნიშვნელოვანი შესაძლებლობების გამოყენების მიდგომები და აღნიშნული ქმედებების ეფექტიანობა | DR S2-5 - მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების მართვის, დადებითი ზემოქმედების გაძლიერების და მნიშვნელოვანი რისკებისა და შესაძლებლობების მართვის სამიზნე მაჩვენებლები |

# ESRS S2 | ღირებულებათა ჯაჭვის მუშახელი

## მონაცემთა ელემენტები – მიმოხილვა**

**70**
მონაცემთა ელემენტების (DP) საერთო რაოდენობა

**18 -ს** (26%)
GRI-ზე პირდაპირი მითითება არ გააჩნია

ანგარიშში შესატანი მონაცემების ტიპები*




** გამარტივებულია უკეთესი თვალსაჩინოებისათვის. „რიცხვითი“ გულისხმობს ნებისმიერ მონაცემს, რომელიც წარმოდგენილი უნდა იყოს რიცხვების სახით, მათ შორის პროცენტული და მონეტარული მაჩვენებლებს. „ცხრილი (რიცხვითი)“ აღნიშნავს DP-ებს, რომლებიც სტრუქტურულ ფორმაში რიცხობრივ მონაცემებს ითხოვს (მაგ., საქმიანობის სახეების, საქმიანობის ქვეყნებისა და ა.შ. მიხედვით).*

*** შეფასებულია ESRS-ის განხორციელების შესახებ EFRAG-ის მითითებების საფუძველზე*

# ESRS S3

## ზემოქმედებული მოსახლეობა

# ESRS S3 | ზემოქმედებული მოსახლეობა

## ზოგადი კონცეფციები

**ზემოქმედებული მოსახლეობა**

| ქვესაკითხები | ქვეპუნქტები |
|---|---|
| მოსახლეობის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები | • სათანადო საცხოვრებელი პირობები<br>• სათანადო საკვები<br>• წყალმომარაგება და კანალიზაცია<br>• ზემოქმედება მიწის რესურსზე<br>• ზემოქმედება უსაფრთხოებაზე |
| მოსახლეობის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები | • გამოხატვის თავისუფლება<br>• გაერთიანების თავისუფლება<br>• უფლებადამცველებზე ზემოქმედება |
| ინდიგენი მოსახლეობის განსაკუთრებული უფლებები | • ძალდაუტანებელი, წინასწარი და ინფორმირებული თანხმობა<br>• თვითგამორკვევა<br>• კულტურული უფლებები |

**ზემოქმედებული მოსახლეობა**

**ერთსა და იმავე ტერიტორიაზე მცხოვრები ან მომუშავე** ადამიანები ან ჯგუფები, რომლებიც ანგარიშვალდებული საწარმოს **საქმიანობის ან მისი ღირებულებათა ჯაჭვის** ზემოქმედებას განიცდიან, ან შესაძლოა მათი ზემოქმედება განიცადონ:

- საწარმოს საქმიანობის ადგილის მიმდებარედ მცხოვრებნი (**ადგილობრივი მოსახლეობა**);
- **მოშორებით მცხოვრებნი.**
- მოიცავს ფაქტიური და პოტენციური ზემოქმედების ქვეშ მყოფ **ინდიგენ მოსახლეობას.**

# ESRS S3 | ზემოქმედებული მოსახლეობა

## გასაჯაროების მოთხოვნები

### მმართველობა

### სტრატეგია

DR-ები, რომლებიც ეხება **ESRS 2 SBM-2-ს** „დაინტერესებულ მხარეთა ინტერესები და ხედვები“

DR-ები, რომლებიც ეხება **ESRS 2 SBM-3-ს** „არსებითი ზემოქმედება, რისკები და შესაძლებლობები და მათი ურთიერთქმედება სტრატეგიასა და ბიზნესმოდელთან“

### ზემოქმედების, რისკისა და შესაძლებლობების მართვა

DR **S3-1** – ზემოქმედებულ მოსახლეობასთან დაკავშირებული პოლიტიკა

DR **S3-2** – ზემოქმედების საკითხებზე ზემოქმედებული მოსახლეობის ჩართულობის პროცესი

DR **S3-3** – უარყოფითი ზემოქმედების შედეგების გამოსწორების პროცესები და ზემოქმედებული მოსახლეობის მიერ პრობლემების წამოჭრისათვის განკუთვნილი არხები

DR **S3-4** – ზემოქმედებულ მოსახლეობაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების აღმომფხვრელი ზომების გატარება, ზემოქმედებულ მოსახლეობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკების მართვისა და მნიშვნელოვანი შესაძლებლობების გამოყენების მიდგომები და აღნიშნული ქმედებების ეფექტიანობა

### საზომები და სამიზნეები

DR **S3-5** - მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების მართვის, დადებითი ზემოქმედების გაძლიერების და მნიშვნელოვანი რისკებისა და შესაძლებლობების მართვის სამიზნე მაჩვენებლები

# ESRS S3 | ზემოქმედებული მოსახლეობა

## მონაცემთა ელემენტები – მიმოხილვა**

**70**
მონაცემთა ელემენტების (DP) საერთო რაოდენობა

**17-ს** (24%)
GRI-ზე პირდაპირი მითითება არ გააჩნია

ანგარიშში შესატანი მონაცემების ტიპები*




** გამარტივებულია უკეთესი თვალსაჩინოებისათვის.* „რიცხვითი“ გულისხმობს ნებისმიერ მონაცემს, რომელიც წარმოდგენილი უნდა იყოს რიცხვების სახით, მათ შორის პროცენტულ და მონეტარულ მაჩვენებლებს. „ცხრილი (რიცხვითი)“ აღნიშნავს DP-ებს, რომლებიც სტრუქტურულ ფორმაში რიცხობრივ მონაცემებს ითხოვს (მაგ., საქმიანობის სახეების, საქმიანობის ქვეყნებისა და ა.შ. მიხედვით).

*** შეფასებულია ESRS-ის განხორციელების შესახებ EFRAG-ის მითითებების საფუძველზე*

# აქტუალური ESRS-ები – დანარჩენი ESRS-ების მოკლე მიმოხილვა

## ESRS E3, E5, S1, S4, G1





# ESRS E3 | წყალი და ზღვის რესურსები

## ზოგადი კონცეფციები

**წყალი და ზღვა**

ქვესაკითხები

- წყალაღება
- წყალმოხმარება
- წყალი სარგებლობა
- წყალჩაშვება წყლის ობიექტებში და ოკეანეებში
- ჰაბიტატების დეგრადაცია და ზღვის რესურსებზე წნეხის სიძლიერე

### განმარტებული ტერმინების მაგალითები

- ლურჯი ეკონომიკა
- გადამუშავებული/ხელახლა გამოყენებული წყალი
- წყლის კუთხით მაღალი რისკის ზონა
- წყლტევადობა
- ჩამდინარე წყალი
- წყალზე მაღალი წნეხის ზონა

# ESRS E5 | რესურსების მოხმარება და ცირკულარული ეკონომიკა

## ზოგადი კონცეფციები

**რესურსების მოხმარება და ცირკულარული ეკონომიკა**

| ქვესაკითხები | განმარტება |
| --- | --- |
| რესურსების შემოდინება, მ.შ. რესურსების მოხმარება | შემდეგი ინფორმაცია:<br>• ნაწარმი (მ.შ. შეფუთვა),<br>• მასალები,<br>• უძრავი ქონება,<br>• საკუთარი საქმიანობაში და ღირებულებათა ჯაჭვში გამოყენებული დანადგარები და აღჭურვილობა |
| რესურსების გადინება ნაწარმისა და მასალების სახით | ინფორმაცია ნაწარმისა და მასალების შესახებ, რომლებიც შემუშავებულია ცირკულარობის პირნციპებით, როგორიცაა:<br>• ხანგამძლეობა,<br>• ხელახალი გამოყენების შესაძლებლობა,<br>• შეკეთების შესაძლებლობა,<br>• ნაწილებად დაშლის შესაძლებლობა,<br>• ქარხნულად განახლების შესაძლებლობა,<br>• კაპიტალური რემონტის შესაძლებლობა,<br>• გადამუშავება ან რესურსის მოხმარების სხვაგვარად ოპტიმიზაცია |
| რესურსების გადინება ნარჩენების სახით | ნარჩენების მართვის სტრატეგია და რამდენად იცის საწარმომ, მის საქმიანობაში საკუთარი ნარჩენები როგორ იმართება.<br>• წარმოქმნილი ნარჩენების საერთო რაოდენობა<br>• ნარჩენების სახეები |

# ESRS S1 | საკუთარი სამუშაო ძალა

## ზოგადი კონცეფციები

საკუთარი სამუშაო ძალა

ქვესაკითხები

ქვეპუნქტები

### სამუშაო პირობები

- უსაფრთხო დასაქმება
- სამუშაო დრო
- სათანადო ანაზღაურება
- სოციალური დიალოგი
- გაერთიანების თავისუფლება, მუშახელის საბჭოების არსებობა, ინფორმირებულობის, კონსულტაციებისა და მონაწილეობის უფლება მუშახელისათვის
- კოლექტიური მოლაპარაკება, მ.შ. კოლექტიური ხელშეკრულებებით მოცული მუშახელის წილი
- სამუშაოსა და პირადი ცხოვრების ბალანსი
- ჯანმრთელობა და უსაფრთხოება

### თანასწორი მოპყრობა და შესაძლებლობები ყველასათვის

- გენდერული თანასწორობა და თანაბარი ანაზღაურება ტოლფასი შრომისათვის
- სწავლება და კვალიფიკაციის ამაღლება
- უნარშეზღუდული პირების დასაქმება და ჩართულობა
- სამუშაო ადგილზე ძალადობისა და შევიწროვების საწინააღმდეგო ღონისძიებები
- მრავალფეროვნება

### მუშახელის სხვა უფლებები

- ბავშვთა შრომა
- იძულებითი შრომა
- სათანადო საცხოვრებელი პირობები
- პირადი ცხოვრება

# ESRS S4 | მომხმარებლები და საბოლოო მომხმარებლები

## ზოგადი კონცეფციები

**მომხმარებლები და საბოლოო მომხმარებლები**

| ქვესაკითხები | ქვეპუნქტები |
|---|---|
| ინფორმაციის ზემოქმედება მომხმარებლებზე და/ან საბოლოო მომხმარებლებზე | • პირადი ცხოვრება<br>• გამოხატვის თავისუფლება<br>• (ხარისხიან) ინფორმაციაზე წვდომა |
| მომხმარებლების და/ან საბოლოო მომხმარებლების პირადი უსაფრთხოება | • ჯანმრთელობა და უსაფრთხოება<br>• პიროვნების უსაფრთხოება<br>• ბავშვების დაცვა |
| მომხმარებლების და/ან საბოლოო მომხმარებლების სოციალური ჩართულობა | • დისკრიმინაციის აღმოფხვრა<br>• წვდომა საქონელზე და მომსახურებაზე<br>• პასუხისმგებლიანი მარკეტინგული მეთოდები |

**მომხმარებელი**

პირები, რომლებიც საქონელსა და მომსახურებას ყიდულობენ, მოიხმარენ ან იყენებენ თავის ან სხვის მიერ პირადი სარგებლობისათვის და **არა გადასაყიდად**, ანუ კომერციული მიზნებისათვის. მომხმარებლები მოიცავს ფაქტიური და შესაძლო ზემოქმედების ქვეშ მყოფ საბოლოო მომხმარებლებს.

**საბოლოო მომხმარებელი**

პირები, რომლებიც **საბოლოოდ იყენებენ**, ან აპირებენ საბოლოო ჯამში გამოიყენონ კონკრეტული საქონელი ან მომსახურება.

# ESRS G1 | საქმიანი ქცევა

## ზოგადი კონცეფციები

საქმიანი ქცევა

ქვესაკითხები

- კორპორაციული კულტურა
- კორუფცია და მექრთამეობა
- ცხოველთა კეთილდღეობა
- მომწოდებლებთან ურთიერთობის, მათ შორის გადახდის მეთოდების მართვა
- მამხილებლების დაცვა
- პოლიტიკური ჩართულობა და ლობირება

ქვეპუნქტები

- თავიდან აცილება და დაფიქსირება, მ.შ. ტრენინგი
- შემთხვევები

ESRS G1-ში შეტანილი არ არის

- კორპორაციული მმართველობის ზოგადი საკითხები (შედის ESRS 2)
- ადამიანის უფლებები (შედის ESRS S)
- მრავალფეროვნება და ჩართულობა (შედის ESRS S)
- დაბეგვრის მეთოდები (თუ მექრთამეობას და კორუფციას არ ეხება)
- შესაბამისობა

წინასწარი პროექტი

# ESRS E5

## რესურსების მოხმარება და ცირკულარული ეკონომიკა

ნოემბერი 2022

# E5 მოთხოვნები

E5 ორგანიზაციებისაგან ითხოვს ანგარიშგებას რესურსების შემოდინების, მათ შორის რესურსების გამოყენების, ნაწარმისა და მომსახურების სახით რესურსების გადინების და ნარჩენების შესახებ. ანგარიშგებასთან დაკავშირებული კონკრეტული მოთხოვნებია:

- პოლიტიკის აღწერა, რომელსაც ორგანიზაცია წარმოების ციკლის ქვედა და ზედა საფეხურებზე ცირკულარული ეკონომიკის თანმხლები რისკების, შესაძლებლობებისა და ზემოქმედების მართვისთვის იყენებს (E5-1).

- ცირკულარული ეკონომიკის სფეროში ორგანიზაციის მიმდინარე ან დაგეგმილი ქმედებებისა და მათ განსახორციელებლად გამოყოფილი რესურსების აღწერა (E5-2).

- ცირკულარული ეკონომიკისა და რესურსების მოხმარების სამიზნე მაჩვენებლები. მაგალითად, ცირკულარული დიზაინი, მასალების წრებრუნვის მაჩვენებელი, არაგანახლებადი პირველადი მასალების მოხმარების შემცირება, განახლებადი რესურსების მდგრადი წყაროებით სარგებლობა და მდგრადი მოხმარება, ნარჩენების მართვა (E5-3).

- რესურსების შემოდინება, რომელთაც კომპანიის საქმიანობაში და ღირებულებათა ჯაჭვის ზედა რგოლებში მნიშვნელოვანი რისკები, შესაძლებლობები და ზემოქმედება ახლავს. გასაჯაროებული ინფორმაცია შეიძლება მოიცავდეს ტექნიკური და ბიოლოგიური მასალების მთლიან წონას ნაწარმში, ბიოლოგიური მასალების პროცენტულ შემცველობას (და ნებისმიერ თანმხლებ სერტიფიცირების სქემას, მათ შორის შეფუთვისთვის), გადამუშავებული მასალის წონას. (E5-4).

- რესურსების მნიშვნელოვანი გადინება, მათ შორის ორგანიზაციის ნარჩენების მართვის სტრატეგია, წრებრუნვის მასშტაბი, შეკეთების შესაძლებლობა, ნაწარმისა და სხვა მასალების (მაგ. შეფუთვის) გადამუშავების შესაძლებლობა, საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები (E5-5).

# როგორ უნდა მოემზადონ კომპანიები

- ორგანიზაციებმა უნდა გააცნობიერონ, ცირკულარული ეკონომიკისა და რესურსების მოხმარების შესახებ ანგარიშგება თუ მოეთხოვებათ და როდის.
- ორგანიზაციებმა უნდა განსაზღვრონ, ღირებულებათა ჯაჭვის გასწვრივ სათანადო მონაცემების შეგროვება-ანალიზისათვის შესაბამისი ანგარიშგების სისტემები თუ გააჩნიათ. ამ მონაცემებისათვის საჭირო იქნება მესამე მხარის მიერ დამოუკიდებელი დამოწმება და, შესაბამისად, გასათვალისწინებელი იქნება პროცესები და კონტროლის მექანიზმები.
- ორგანიზაციებმა თავიანთ ბიზნესსაქმიანობაში ცირკულარობის სტრატეგია უნდა გააერთიანონ.
- ორგანიზაციები წრფივი მიწოდების ჯაჭვიდან ცირკულარულ, უნარჩენო საქმიანობის მოდელზე უნდა გადავიდნენ.  მათ ასევე მიწოდების ჯაჭვის გამჭირვალეობას უნდა მიაღწიონ, რათა წარმოაჩინონ შესაძლებლობები როგორც დახურული ციკლის სისტემებისათვის (სადაც საქონელი ან მასალები თავდაპირველ მწარმოებლებს უბრუნდებათ), ასევე ღია ციკლის სისტემებისათვის (სადაც მასალებს სხვა მხარეები აღადგენენ), რომლებიც ცირკულარული ეკონომიკის ზრდას უწყობს ხელს.

# რესურსების მოხმარება და ცირკულარული ეკონომიკის ინტეგრირება ბიზნესმოდელში

გასაჯაროებული უნდა იქნას შემდეგი ინფორმაცია:

- მითითება რესურსების მოხმარებისა და ცირკულარული ეკონომიკის სამიზნე მაჩვენებლებზე, წრფივდან ცირკულარულ ბიზნესმოდელზე გადასვლისთვის განსაზღვრული ბერკეტებისა და ძირითადი ქმედებების დასაბუთება;
- განმარტება, გადასვლის გეგმა საერთო ბიზნესსტრატეგის როგორ შეესაბამება და როგორ არის მასში ჩანერგილი;
- რესურსების, ნაწარმისა და მასალების ღირებულების უმაღლეს მაჩვენებელზე შენარჩუნებაში მიღწეული წინსვლის აღწერა.



# რესურსების მოხმარებისა და ცირკულარული ეკონომიკის თანმხლები ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების გამოვლენის პროცესები

ორგანიზაციამ უნდა გაასაჯაროოს პროცესები, რომელთა მეშვეობითაც განსაზღვრავს და აფასებს:

- რესურსების მოხმარებასა და ცირკულარულ ეკონომიკასთან დაკავშირებულ ზემოქმედებას;
- რესურსების მოხმარებასა და ცირკულარულ ეკონომიკასთან დაკავშირებულ რისკებს;
- რესურსების მოხმარებასა და ცირკულარულ ეკონომიკასთან დაკავშირებულ შესაძლებლობებს.



გასაჯაროებული ინფორმაცია უნდა შეიცავდეს იმ ზემოქმედების, რისკებისა და შესაძლებლობების გამოვლენის პროცესების აღწერას, რომლებიც, მათი მნიშვნელობის გამო, ორგანიზაციისათვის პრიორიტეტულად არის მიჩნეული და უშუალოდ ორგანიზაციის მმართველობის უმაღლესი რგოლის მიერ კონტროლდება.

# რესურსების მოხმარება და ცირკულარული ეკონომიკის თანმხლები ზემოქმედება, რისკები და შესაძლებლობები

- რესურსების მოხმარებასა და ცირკულარულ ეკონომიკასთან დაკავშირებული ზემოქმედება;
- რესურსების მოხმარებასა და ცირკულარულ ეკონომიკასთან დაკავშირებული რისკები;
- რესურსების მოხმარებასა და ცირკულარულ ეკონომიკასთან დაკავშირებული შესაძლებლობები.

გასაჯაროებული ინფორმაცია უნდა აღწერდეს:

- წრფივ ეკონომიკაში დარჩენის ძირითად რისკებს;
- ცირკულარულ ეკონომიკასთან დაკავშირებულ ძირითად შესაძლებლობებს;
- ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის ძირითად რისკებს.

# რესურსების მოხმარების მართვისა და ცირკულარული ეკონომიკისათვის დანერგილი პოლიტიკა

ორგანიზაციამ უნდა აღწეროს (i) გაზომვადი, შედეგზე ორიენტირებული სამიზნე მაჩვენებლები, განსაზღვრული რესურსების მოხმარებისა და ცირკულარული ეკონომიკის პოლიტიკის ამოცანებისთვის, რომლებიც მისი მნიშვნელოვანი ზემოქმედების, რისკების და შესაძლებლობების მართვას ეხება და (ii) საერთო წინსვლა დადგენილ სამიზნე მაჩვენებლებთან მიმართებაში.



რესურსების მოხმარებისა და ცირკულარული ეკონომიკის სამიზნე მაჩვენებლები უნდა მოიცავდეს შემდეგ სამიზნე კატეგორიებს:

- ნარჩენების აღმოფხვრის სამიზნეებს (მათ შორის მოხმარების ფაზისათვის);
- მასალების ცირკულარული მოხმარების მაჩვენებლის სამიზნეებს;
- პირველადი ნედლეულის მოხმარების აღმოფხვრის სამიზნეებს;
- განახლებადი რესურსების მარაგის გამოფიტვის პროცესის შემცირების/შებრუნების სამიზნეებს.

# რესურსების მოხმარება და ცირკულარული ეკონომიკის სამოქმედო გეგმა

გასაჯაროებული უნდა იქნას შემდეგი ინფორმაცია:

- აღწერა, სამიზნე მაჩვენებლები რამდენად მჭიდრო კავშირშია ნაწილში „რისკები და შესაძლებლობები“ გასაჯაროებულ მნიშნელოვან ზემოქმედებასთან, ხოლო თუ ეს ასე არაა, წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური დასაბუთება, სამიზნეები მნიშვნელოვან ზემოქმედებას რატომ არ ეხება;

- აღწერა, სამიზნე მაჩვენებლებს როგორ შეაქვს წვლილი ევროკავშირის „ცირკულარული ეკონომიკის სამოქმედო გეგმის“ მიზნების შესრულებაში;

- სამიზნე მაჩვენებლები აბსოლუტურ თუ კუთრი სიდიდეებია და რა ერთეულებში იზომება;

- სათანადო შემთხვევაში, სამიზნე მაჩვენებლის გეოგრაფიული საზღვრები: სამიზნეებით მოცული გეოგრაფიული რეგიონები, როგორ შეირჩა ეს გეოგრაფიული რეგიონები, ხოლო სათანადო შემთხვევებში განმარტება, შესაბამისი განსაზღვრული ტერიტორიები რატომ არ იქნა მოცული.



# რესურსების შემოდინება და გადინება

გასაჯაროებული უნდა იქნას შემდეგი ინფორმაცია:

- კომპანიის პირველადი ნაწარმისა დ მომსახურების წარმოებისათვის გამოყენებული მეორადი, გადამუშავებული და განახლებადი შემავალი მასალების აბსოლუტური და პროცენტული მაჩვენებლები;
- კომპანიის პირველადი ნაწარმის შესაფუთად გამოყენებული მეორადი, გადამუშავებული და განახლებადი შემავალი მასალების აბსოლუტური და პროცენტული მაჩვენებლები;
- ნაწარმის ან მომსახურების გადინების გამო ხელახლა გამოყენებული რესურსების აბსოლუტური და პროცენტული მაჩვენებლები;
- ნაწარმის ან მომსახურების გადინების გამო გამოყენებული გადამუშავებული რესურსების აბსოლუტური და პროცენტული მაჩვენებლები;
- ნაწარმის ან მომსახურების გადინების გამო გამოყენებული განახლებადი რესურსების აბსოლუტური და პროცენტული მაჩვენებლები.

# ნარჩენები და ემისიები

გასაჯაროებული ინფორმაცია უნდა აღწერდეს:

- ქმედებებს, მათ შორის ცირკულარულ ღონისძიებებს, რომლებიც განხორციელდა ორგანიზაციის საქმიანობის დროს და მისი ღირებულებათა ჯაჭვის ზედა და ქვედა რგოლებში ნარჩენების წარმოქმნის თავიდან ასაცილებლად და წარმოქმნილი ნარჩენების მნიშვნელოვანი ზემოქმედების მართვისათვის.
- რამდენად არის მორგებული საწარმოო პროცესები ცირკულარულ ბიზნესმოდელებზე, პროდუქტებზე ან მომსახურებაზე;
- მომხმარებლებთან კომპანიის მუშაობის მასშტაბი ცირკულარული ეკონომიკის საკითხების გაუმჯობესების მიზნით;
- მომწოდებლებთან კომპანიის მუშაობის მასშტაბი ცირკულარული ეკონომიკის საკითხების გაუმჯობესების მიზნით.



# რესურსის ღირებულების სტრატეგია

ინფორმაციის გასაჯაროების მოცემული მოთხოვნის მიხედვით, გამოყენებული უნდა იქნას კომპანიის მიერ მასალებისა და საქონლის მოხმარების ინტენსივობისა და გამოყენებული რესურსის ფასეულობის უმაღლეს დონეზე შენარჩუნების ანალიზის პრინციპი.

გასაჯაროებული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს წმინდა შემოსავლის წილს ნაწარმიდან და მომსახურებიდან, რომლებიც ხელს უწყობს ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლას ცირკულარული ბიზნესმოდელების მეშვეობით, როგორიცაა გამოყენებისამებრ გადახდა, საზიარო სარგებლობა, ან შეკეთების მომსახურება.



# ცირკულარობის ხელშემწყობი ფაქტორები

გასაჯაროებული ინფორმაცია უნდა აღწერდეს:

- ქმედებებს, მათ შორის ცირკულარულ ღონისძიებებს, რომლებიც განხორციელდა ორგანიზაციის საქმიანობის დროს და მისი ღირებულებათა ჯაჭვის ზედა და ქვედა რგოლებში ნარჩენების წარმოქმნის თავიდან ასაცილებლად და წარმოქმნილი ნარჩენების მნიშვნელოვანი ზემოქმედების მართვისათვის.
- რამდენად არის მორგებული საწარმოო პროცესები ცირკულარულ ბიზნესმოდელებზე, პროდუქტებზე ან მომსახურებაზე;
- მომხმარებლებთან კომპანიის მუშაობის მასშტაბი ცირკულარული ეკონომიკის საკითხების გაუმჯობესების მიზნით;
- მომწოდებლებთან კომპანიის მუშაობის მასშტაბი ცირკულარული ეკონომიკის საკითხების გაუმჯობესების მიზნით.

# ტაქსონომიის რეგულაცია ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლისათვის, მათ შორის ხელშემწყობი საქმიანობა

ტაქსონომიის რეგულაციის მუხლი მე-8 (2) კომპანიებს ავალდებულებს გაასაჯაროონ ინფორმაცია ისეთ ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ბრუნვის, კაპიტალდანახარჯების („CapEx“) და საოპერაციო ხარჯების („OpEx“) წილის შესახებ, რომელიც ეკოლოგიურად მდგრადად კვალიფიცირდება.




ინფორმაცია, რომელიც უნდა გასაჯაროვდეს ცირკულარული ეკონომიკის სფეროში ტაქსონომიის რეგულაციის მომავალი დებულებების შესაბამისად, ამ სტანდარტის დებულებების მიხედვით გასაჯაროებულ ინფორმაციას უნდა ავსებდეს, რადგან იგი ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლაში კომპანიის მნიშვნელოვანი წვლილის გააზრებას უზრუნველყოფს.

# რესურსების მოხმარებასა და ცირკულარულ ეკონომიკასთან დაკავშირებული ფინანსური შესაძლებლობები, გარდა ტაქსონომიის რეგულაციისა

პრინციპი, რომელის დაცვასაც გასაჯაროების მოცემული მოთხოვნა ითვალისწინებს, მდგომარეობს ისეთი ინფორმაციის მიწოდებაში, რომელიც, შეავსებს რა ტაქსონომიის რეგულაციით მოთხოვნილ ინფორმაციას. რესურსების მოხმარებასა და ცირკულარულ ეკონომიკასთან დაკავშირებული ფინანსური შესაძლებლობების საერთო სურათს წარმოაჩენს.

თუ კომპანია ინფორმაციას ასაჯაროებს, იგი უნდა მოიცავდეს შესაბამისი ნაწარმისა და მომსახურების ბაზრის ზომის შეფასებას მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში, ასევე განმარტებას, აღნიშნული როგორ განისაზღვრა, ფინანსური მაჩვენებლები როგორ შეფასდა და რა საკვანძო დაშვებები გაკეთდა.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

შვედეთი Sverige

UNDP

პროექტი „მმართველობის რეფორმის ფონდი“ **(GRF)**

# „ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში საქართველოს მთავრობის მხარდაჭერა მმართველობისა და პოლიტიკის გასაძლიერებლად“

# გმადლობთ!

საკონტაქტო ინფორმაცია:

დოქტორი დარიუშ პრასეკი

**deprasek@gmail.com**
**orchisge@yahoo.com**